საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასოცდაოთხი წლის თერთმეტ დეკემბერს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **ალექსანდრე აბულაძემ.** მან განაცხადა, რომ არის **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ტერრა დეველოპმენტი“, საიდენტიფიკაციო №404612255,** დირექტორი, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2024 წლის 10 აპრილს მომზადებული ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის №B24045299, სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც საზოგადოების სახელით უფლებამოსილებას მიანიჭებს ქალბატონ **ეკა კემულარიას.** მოითხოვა შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ბატონმა **ალექსანდრე აბულაძემ,** დაბადებულმა 1971 წლის 1 მაისს სოხუმში, პირადი №62001003516, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, რეზო თაბუკაშვილის ქუჩა №17, ბინა 3.

მე მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მიმწდობს განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს მინდობილ პირს. ამ განმარტების შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მიმწდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს საზოგადოების ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასოცდაოთხი წლის თერთმეტ დეკემბერს მე, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ტერრა დეველოპმენტი“, საიდენტიფიკაციო №404612255,** დირექტორი, **ალექსანდრე აბულაძე,** დაბადებული 1971 წლის 1 მაისს, პირადი №62001003516, ვანიჭებ უფლებამოსილებას **ეკა კემულარიას,** დაბადებულს 1973 წლის 18 თებერვალს ოჩამჩირეში, პირადი №62005000668, რეგისტრირებული მისამართი: ოჩამჩირე, ფ.ენგელსის ქუჩა №22, მცხოვრებს ქ.თბილისში, ამაღლების ქუჩა №37, ბინა 4, წარმოადგინოს შპს „ტერრა დეველოპმენტი“ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში, ქონების მართვის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის, სს თელასში, შპს თელმიკოში, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში, შპს თბილისი ენერჯიში, თბილსერვისში, სს სილქნეტში, შპს სუპერგაზი 3+, დაიცვას საზოგადოების ინტერესები, მიმართოს განცხადებებით, წარადგინოს და მიიღოს საჭირო დოკუმენტები, შეათანხმოს/წარადგინოს/დაამტკიცოს პროექტები მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, პროექტები და სხვა საჭირო ნებართვები, მოამზადოს და წარადგინოს ობიექტის და/ან მისი ნაწილის ლეგალიზებისათვის საჭირო დოკუმენტაცია შესაბამის ორგანოებში, ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტები, წარადგინოს და მიიღოს ნახაზები, განაცხადოს თანხმობები, მიიღოს გადაწყვეტილებები პროექტის შეთანხმების და შენობის ექსპლუატაციაში მიღების საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განლაგებული მისამართზე: ქ.თბილისი, ელენე ვირსალაძის I ჩიხი N3,N3ა,N3-ის მიმდებარედ, N1,N1ა,ელენე ვირსალაძის ქუჩა N8,N8ა,N12,N12-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.010.017), მოაწეროს ხელი ჩემს ნაცვლად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება შპს „ტერრა დეველოპმენტი“–ს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით, ძალაშია 2026 წლის 11 დეკემბრამდე.

მინდობილობა დადასტურებულია სამ ცალად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ორი გადაეცა მიმწდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ერთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2024 წლის 10 აპრილს მომზადებული ამონაწერი შპს „ტერრა დეველოპმენტი“–ს შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის №B24045299.

გადახდილია 40,40 ლარი - აქედან: საზღაური 30,00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.7 მუხლის საფუძველზე, 5,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 5,40 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

შპს „ტერრა დეველოპმენტი“–ს
სახელით: დირექტორი _____

ნოტარიუსი _____ ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

89993016604824

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241637575

რეგისტრაციის თარიღი

11.12.2024 წ

ნოტარიუსი: ნინო მასხულია
მისამართი: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
ტელეფონი: 2997150

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18